საქართველო

წ. I

ოთხშაბათი 1 ივლისი 1915 წელი

ფასი: წლიურად 8 მ., ნახევარი წლიურ. [illegible] ცალკე ნომერი ერთი შაურ. [illegible] წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველად გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 117 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 117

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

ხუთშაბათს, 2 ივლისს, საფიჩხის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებული

თ-დ ვარლამ მიხეილის ძის ერისთვის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ქვრივი კნეინა ციცინო ნიკოლოზის ასული ერისთვისა და შვილები: კნეინა ოლია ვარლამ ერისთვის ასული და მიხეილ ვარლამის ძე ერისთავი.

წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე, პ ნაშვიდის- 12 საათზე.

2—2—495

დედა ეფროსინე, შვილები **გიორგი, დავით, ნიკოლოზ, მარიამ, თამარ რაჟდენის ძენი და ასულნი გვარამაძენი, ნინა რაჟდენის ასული ნუცუბიძისა**, ცოლის ძმა კაპიტანი **თევდორე ივსესძე ბაბუნაშვილი**, სიძე მასწავლებელი **ნიკოლოზ დიმიტრის ძე ნუცუბიძე** დები **ფოტანე ჩხეიძისა და პელაგია ლეჟავასი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 26 ივნ-ს გარდაიცვალა სულით ავდმყოფთა სამკურნალოს ზედამხედველი

რაჟდენ ივანეს ძე გვარამაძე.

3—3—497

სტეფანე დავითის ძე და მეტია ბასილიკას ძე, ვარლამ, ვლადიმერ და ბენედიკტე, მატრონა და ივლიტა ჩიქობავები გულდათუთქულნი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მიცვალებულის ამხანაგთ პირველთა საყვარელი შვილის, ხოლო დანარჩენთა დაუვიწყარი ძმის მასწავლებლის

სტეფანე სტეფანეს ძის ჩიქობავას

გარდაცვალებას.

ქუთაისის ქართული გიმნაზია ამით აცხადებს,

რომ მომავალი სასწავლო წლისათვის

თავისუფალი ვაკანსიები მხოლოდ I და II განყოფილებაში იქნება

(მოსამზადებელ კლასებს სამი განყოფილება აქვს და ახლანდელი I განყოფილება უდრის ძველს II განყოფილებას).

სწავლის გადასახადათ მომავალი წლისათვის დადგენილია: მოსამზადებელ კლასებში—ვიდი თუმანი, ხოლო გიმნაზიის კლასებში—რვა თუმანი და ამ გადასახადის ნახევარი წლის ხვედრი ფული სწავლის დაწყებისათანავე უნდა შეიტანონ. ხელახალი ეგზამენებისათვის მოსწავლეები 20 აგვისტოს უნდა გამოცხადდენ, ხოლო მისადები ეგზამენებისათვის (1 და 2 განყოფილებაში)—25 აგვისტოს. 3—1

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტროლისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. **ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.** თ.

დოქტორი

მედიცინისა, პრივატ დოცენტი ვარლამ კავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

ექიმი

რელიგიოზნი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქი-რურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე.

ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 საათამდი. თ.

კბილის ექიმები

მენალარიშვილი და **ტრუფანოვა**

ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე წასვანსზე ახალი საშუალებით. თ.

ექიმი

ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

კერძო ექიმი

მიხეილ კაშია

კურსაგს ეოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას. ღებულობს დილის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი. თვ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

საზაფხულო შენობაში.

ორშაბათიდან, 29 ივნისიდან, ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი

თავადაზნაურთა კერა.

ოჩ სერიათ და 8 ნაწ. ეპიდოგით ი. ს. ტურგენევის ცნობილი რომანიდან. ორშაბათიდან პირველი სერია ოთხ ნაწილათ. მონაწილეობენ: ო. ბრეობრაჟენსკაია, მ. ტამაროვი, ვ. შატერნიკოვი, ბ ორლოვი, ე უვაროვა, ა. სიჩევა და ო. ბასუსი. დადგმულია გარდინისაგან. ნაჩვენები იქნება სხვა სურათებიც.

ანონსი: ხუთშაბათიდან ნაჩვენები იქნება „თავადაზნაურთა კერის“

მეორე სერია ოთხ ნაწილათ ეპილოგით.

იყიდება მამული

ზოგით 1020 ოთხკუთხი საჟენი, 1 **ძვისა** და **2 ხის სახლით**, ინჟინრის ქუჩაზე, უფასო სასწავლებლის ახლოს.

პირობების გაგება იქვე შეიძლება. 5—5—493

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

კავკასიის ასპარეზი.

პეტროგრადი. 28 ივნ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 25 ივნ. ოფიციალური ცნობა. ზღვის-პირის გეზით ჩვენმა არტილერიამ ოსმალები გაფანტა. 24 თიბათვეს საღამოს ოსმალებმა ავლაბიკს შემოუტიეს. 25 თიბათვის წინა ღამეს და მთელ დღეს კარადერბენტის რაიონში ოსმალები გვიტევდნენ, მაგრამ მოვიგერიეთ. სოფ. სეიგმანთან ბრძოლები გრძელდება. დანარჩენ ადგილებში მდგომარეობა არ შეცვლილა.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 27 ივნ. მთავარ სარდლის შტაბისაგან ოფიციალური ცნობა. სოფელ ედნოროეკთან 25 ივნ. საღამოს ძლიერი არტილერიის ცეცხლია. პრასნიშსა და ვისლას შუა გახშირებული შეტაკებებია. ვისლის მარცხენა ნაპირზე 26 თიბათვის წინა ღამეს გერმანელებმა გუმინთან დაჭერილი სანგრები დასცალეს. 26 თიბათვეს ლიუბლინის გეზით ბრძოლები გრძელდებოდა. ურჟენდოვის სამხრეთით ჩვენი ჯარი მდ. ვიჟნიცის მიუახლოვდა, მტერი 118—სიმაღლეს იმაგრებს ვილკოლაზაგორნეგოს სამხრეთით თავის რეზერვებით შეუპოვარი იერიშები მოჰქონდა სოფელ ბისტრიცაზე. მტრის ყველა იერიშები მოვიგერიეთ. დღის სამ საათზე ბრძოლა გათავდა. 26 თიბათვეს ჩვენმა რეზერვებმა გაბედული იერიში მიიტანა და მტერი აძულა უწესრიგოდ უკან დაეხევნა. ვეპრესა და დასავლეთ ბუგს შუა 25 თიბათვის საღამოს და მეორე ღამეს მტრისგან მოტანილი იერიშები სოფელ გრაბოვიცის რაიონში გრუბეშევის სამხრეთით მენიანის სოფელთან ადგილათ მოვიგერიეთ. კამენკის ზემოთ დასავლეთ ბუგზე არტილერიისა და თოფის ცეცხლია. სოფელ კორჟოვთან ზოლოტაია ლიპაზე 26 თიბათვის წინა ღამეს მტერმა შემოტევა განავითარა ჩვენი მავთულის ხლართებთან არა ერთხელ მოსულა და ყოველთვის ცეცხლით და კონტრ იერიშებით უკუვაგდებდით ხოლმე. სხვა პირებზე მდგომარეობა უცვლელია.

დასავლეთის ასპარეზი.

პარაზი. 26 ივნ. ოფიციალური. ზღვიდან მდინარე ენამდე ღამის განმავლობაში საარტილერიო ბრძოლები იყო. სუშეს ირგვლივ და არასთან ყუმბარების ძლიერი სროლაა. ძლიერი საარტილერიო ბრძოლა იყო მდ. უაზსთან და ენს შუა ნუვრონის გორაკზე. შამპანში ძლიერი ბრძოლაა. არგონებზე საარტილერიო ბრძოლაა. ქვეითა ჯარი მონაწილეობას არ იღებდა. ფემგასა და ლეპრეტრის ტყის შუა ყუმბარების შემწეობით 150 ადლის თხრილები დავიბრუნეთ. კარმში საღამოს 360 ადლის სიგრძის პირზე მტერმა იერიში მოიტანა. აეროონოვის ადგილს ყუმბარები დაუშინა და მწვავი სითხით ისარგებლა და ჩვენი სიმაგრეები დაიპყრო, მაგრამ კონტრ-იერიშით იქიდან დაუყოვნებლივ გამოვყარეთ წინ წამოწეულ ჩვენი თხრილების ზოგ ნაწილებში გამაგრდა. ვოგეზებზე ბანდესაპტ—ფონტენელის რაიონში დიდი წარმატება გვქონდა წინანდელ ჩვენი სანგრების ნაწილიდან მტერი გავაძევეთ, რომელიც 9 თიბათვეს მტერმა დაიპყრო. ჩვენ დავიჭირეთ გერმანელების ყველა სიმაგრე ფონტენელიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ლენტა—მუაენ—მუტიემდის - გზამდე. ჩვენი წარმატება 600 ადლით წინწაწევაში გამოიხატა, 19 აფიცერი დავატყვევეთ, ერთი მათგანი ბატალიონის უფროსია, 2 ექიმი და 767 ჯარის კაცი, რომლებიც შვიდ სხვა და სხვა ბატალიონს ეკუთვნიან. ჩვენ გოსპიტალში ერთი აფიცერი და 32 დაჭრილი გერმანელი ჯარის კაცი დაწვა ერთი 37-სანტიმეტრიანი ზარბაზანი ვიხელთეთ, 2 ტყვიის მფრქვეველი, რამდენიმე ყუმბარის მტყორცნელი და ბევრი სამხედრო სურსათი. დილიდან მტერი დაკარგულ პოზიციებს გაცხარებით ყუმბარებს უშენს.

პარაზი. 26 ივნ. ოფიციალური. ღამის 11 საათამდე დღემ შედარებით წყნარათ განვლო. მთელ პირზე, ქვეითა ჯარს სამხედრო მოქმედება არ გაუწევია, მტერი არასაზე ყუმბარების დაშენას განაგრძობდა მძიმე ზარბაზნებიდან. უაზსა და ენს შუა და აპრემონის ტყეში საარტილერიო ბრძოლები იყო. ვოგეზებზე ჩვენმა ჯარმა ფონტერესთან დაჭერილი პოზიციები გაამაგრა.

ლონდონი. 27 ივნ. ფრანჩი იტყობინება: 26 ივნ. მტერი არაერთხელ ცდილობდა იპრის ჩრდილოეთით დაკარგული სანგარების წართმევას. გერმანელების ყველა კონტრიერიშები ჩვენი და ფრანგების არტილერიით შევაჩერეთ. დღეს ორი დღე-ღამის საარტილერიო შეჯიბრების შემდეგ მტერმა კანალადოვის გასწვრივ დაიხია, რამაც შეგვაძლებინა გაგვეფართოვებინა ჩვენ მიერ დაჭერილი პოზიციები, ხელთ ვიგდეთ სამი ყუმბარის მტყორცნელი და ერთი ტყვიის მფრქვეველი მტერმა დიდი ზარალი ნახა, განსაკუთრებით კონტრიერიშების დროს. ოფიციალურათ იტყობინებიან: რამდენიმე ათასმა ოსმალმა ოცი ზარბაზნით არაბთა დიდი რიცხვით 21 თიბათვეს ბრიტანიის მცირე რაზმებზე მიიტანა იერიში ლიაგეჯთან ადენის ოლქში. დაღამებამდე რაზმმა პოზიციაზე გაიმაგრა თავი, როდესაც ლიაგეჯზე ცეცხლი გაჩნდა დასახმარებლათ წამოსული კოლონა, უწყლობით იძულებული გახდა ლიაგეჯიდან უკან დაეხია. 22 თიბათვეს რაზმი კოლონას შეუერთდა და სიცხისა და წყლის უქონლობის გამო ადენისკენ დაიწია. მტერმა დევნა ვერ გაბედა. დაჭრილ ბრიტანიის აფიცერთა შორის ჯარისგან დატყვევებული ოსმალელი მაიორი და 30 ჯარის კაცია.

დარდანელი.

სოლუნი. 27 ივნისი. მიტილენიდან იტყობინებიან: სამხედრო მოქმედებები გალიპოლის ნახევარ კუნძულზე თანდათან მკაცრ ხასიათს ღებულობს. კორესპონდენტები ირ-

წმუნებიან: გალიპოლზე კონტრ-იერიშებს თვალყურს ვადევნებთ, რომ ლის სიმკაცრე უმაგალითოა, ოსმალებს დიდი ზარალი მოსდით. 15 ივნისს 10000 კაცი დააკლდათო.

პარიზი. 27 ივნისი. პრესს ბიურო აღწერს დარდანელზე სამხედრო მოქმედების ვითარებას, რომელიც ბობის პოზიციის აღებით დაგვირგვინდა. ეს პოზიცია ძალიან გამაგრებულია სამხრეთის მხრიდან. დერე ხევის თავდაღმართთან მთავარ ადგილს წარმოადგენდა და ჩრდილოეთის მხრიდან მოკავშირეთა ფრთას ემუქრებოდა. ხანგრძლივი მზადების შემდეგ მოკავშირეების ქვეითა ჯარი წინ გაემართა, პოზიციის მარცხენა მხრიდან სანგრების ორი ხაზი დაიჭირა. შკმტევნის მარჯვენა მხრით მტრის კონტრ იერიშებს იგერიებდენ, ვიდრე ზუავები მოვიდოდნენ, რომლებმაც ათ წუთში სანგარებიდან მტერი გააძევეს და უკუაქციეს. მოკავშირეთა არტილერიამ ოსმალები გაფანტა და ერთ პოლკამდე გასწყვიტა.

პარიზი. 27 ივნისი. 26 ივნისის ოფიციალური ცნობა. დღის სამ საათზე გერმანელები შეეცადენ ანგრსუშეს გზით არასის რაიონზე იერიშის მოტანას. ლაბირინტთან გრანატებით არის ბრძოლა, თუმცა ჯარის პირი არ შეუცვლია. შამპანში პეტრბოლ-ეურისე 3-რზე 19—66 სიმაღლესა და მცირ სიმაგრის შუა ჩვენი ქვეითა ჯარის და არტილერიის სროლამ მტერი ‖ გაფანტა და საგრძნობი ზარალი მიაყენა. ლოტარინგიაში მტერმა ერთი ბათალიონით ჩვენ პოზიციებზე იერიში მოიტანა და ლენტრეს ახლო მოგერიებულ იქნა. ღამის განმავლობაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, დანარჩენ პირზე გარდა საარტილერიო ბრძოლებისა აპრემონის ტყეში ბრძოლა დაკარგულ პოზიციებზე ყუმბარების დაშენით დამთავრდა. 25 ივნისს დატყვევებულთა რიცხვი 881 უდრის, მათ შორის 21 აფიცერია. ჩვენმა ავიატორებმა რკინის გზის სადგურზე არკოვილ—ბაიოვილზე აგრეთვე ნორუაზე 22 ყუმბარა ჩამოყარეს.

სოლუნი. 27 ივნ. მიტილენიდან იტყობინებიან: მოკავშირეების კრეისერმა გუშინ ანდრამიდთან ოსმალების ბანაკს დაუშინა ყუმბარები და დიდი ზარალი მიაყენაო. ინგლისის ჰაეროპლანმა ოსმალების პოზიციებს წარმატებით დაუშინა ყუმბარები ანატოლიის სანაპიროზე. მიუხედავათ ნაპირების ბატარეიების სროლისა, სანაპიროზე ოსმალების დაგუნებული რაზმები გაფანტა.

სამხრეთის ასპარეზი.

რომი. 28 ივნ. მთავარი ბინის ცნობა: დაონეს ველზე მტერი შეეცადა ბოაკლის მწვერვალის დაჭერას, მაგრამ მოგერებულ იქნა. ანსიჩის ველის სათავეში ჩვენმა არტილერიამ პლაცვიზეს ფორტი ძალიან დააზიანა და ცეცხლი გააჩინა. კარნიაში ოცდა ხუთ ივნისს მტერმა ნანზე და მეჟცელენკოფელზე იერიში მოიტანა, მაგრამ მოვიგერიეთ. ღამის იერიშით პოლგრანდეს იგივე ბედი ეწვია, ჩვენ მარჯვეთ ვესროდით კოლბორგენ-პრედილიის სიმაგრეებს. დანარჩენ პირზე მდგომარეობა უცვლელია. მონტენეროს რაიონში მტერი გასასქდომ ტყვეებს ხმაობდა. ასი ადლის სიმაღლიდან ჩვენი ჰაეროპლანი სადგურ ნაბრეჟენულს მარჯვეთ უშენდა ყუმბარებს.

ლონდონი. 28 თიბათვე. ასკვიტმა და კოტჩენერმა რამდენიმე დღე გაატარეს ინგლისის მოწინავე პოზიციებზე, სადაც ჯარი დაათვალიერეს. კიტჩენერმა დაათვალიერა არასის რაიონში საფრანგეთის ჯარი. გულიდან იტყობინებიან: ვილსონის საზოგადოების გემი „გვიდო“, რომელიც წარსულ კვირას გერმანიის წყალქვეშა ნავს გაეექცა მხოლოთ ზარბაზნის სროლით დაზიანებული იყო, ამ ჟამათ წყალქვეშა ნავმა შოტლანდიის ჩრდილოეთ სანაპიროს სიმაღლეზე ჩასძირა. მეზღვაურები გადაარჩინეს. პიტერხედან ლონდონს ატყობინებენ, რუსის გემს „ანნა“-ს გულის გზაზე გერმანიის წყალქვეშა ნავი დაედევნა, მეზღვაურები პიტერხედში გადმოვიდნენ „ანნა“-კი ჯერჯერობით წყლის ზედა პირზე თავს იმაგრებს.

რომი. 26 ივნისი. ტრიბუნის ცნობა: იზონცოს ხაზზე 26 ივნისს, ავსტრიელების პოზიციებზე ჩვენგან მიტანილ იერიშის დროს მტრის 65 ჯარის კაცი დალმაციელები პირველი ხაზიდან გამოვიდნენ, თოფები დაყარეს და დაიყვირეს „იტალია“! ავსტრიელებმა სროლა დაუწყეს გაქცეულებს, 28 მოკლეს და ჩვენ სანგრებამდე 37 მოაღწია.

გემის ჩაძირვა.

ქრისტიანია. 26 თიბათვე. მეთევზეები იტყობინებიან, რომ ინგლისის წყალქვეშა ნავმა ლოფოდენის კუნძულთან ნაღმით უცნობი ეროვნების დიდი სავაჭრო გემი ჩასძირა.

კოლონიებში.

ლონდონი. 27 ივნისი. დასავლეთ აფრიკაში გერმანელების ჯარის რიცხვი, რომელიც დაგვნებდა 204 აფიცერსა და 3169 ჯარის კაცს უდრის; მათ ჰქონდათ 37 საველე ზარბაზანი და 22 ტყვიის მფრქვეველი.

ჟურნალ-ვაზეთებიდან.

გერმანელების პლანი.

„ეხოდეპარის“ სამხედრო მიმომხილველის მარსენ გუტენის აზრით, გერმანელები აპირებენ მეოთხეთ იერიშის მიტანას კალეზე. სხვა სამხედრო მიმომხილველები ფიქრობენ, რომ გერმანელები შეეცდებიან იერიშების მიტანას ფრონტის სხვა და სხვა პუნქტზე, მოპირდაპირის ძალების შესამოწმებლათ.

„პოლიტიკენი“ სკეპტიეურათ უყურებს გერმანელების პლანის შესახებ ცნობებს დასავლეთის ფრონტზე და აღნიშნავს, რომ გერმანელებმა მთელი თავის ძალა აღმოსავლეთის ფრონტისკენ გაგზავნეს და ახალ სათადარიგო ჯარს დასავლეთის ფრონტისათვის ვერ მოაგროვებენო.

ზარბაზნების გაგზავნა.

ბუქარესტიდან ცნობაა—სერბიის საზღვრისკენ გაიგზავნა გერმანელების ბევრი მძიმე საველე ზარბაზანი და ყუმბარები, რადგანაც სერბიაზე ახალ თავდასხმისათვის ემზადებიანო.

ოსმალეთი.

პორტამ ათინაში მყოფს თავის ელჩს ხალილბეის მიწერა, დაარწმუნოს საბერძნეთის მთავრობა, რომ რეპრესიები, მცირე აზიაში მცხოვრებ ბერძნების წინააღმდეგ, მოსპობილი იქნება და დამნაშავე მოხელენი სასტიკათ დაისჯებიანო.

პორტუგალიის პოზიცია.

ლონდონიდან მოსულ ცნობებით, კვლავ განახლდა მოლაპარაკება პორტუგალიის გამოსვლის შესახებ.

„კოლონიშე ცეიტუნგი“ იუწყება, რომ ლისაბონში დიდი მანიფესტაციები გაიმართაო. მთავრობას ხალხმა მიმართა და სთხოვა სამთა შეთანხმების სახელმწიფოების სასარგებლოთ იმოქმედოს. მინისტრ პრეზიდენტმა კასტრომ უპასუხა ხალხს, რომ მთავრობის განზრახვა ხალხის დახმარებით ადვილად განხორციელდებაო.

წერილი ორნის ებრაელების

რაბინ დ. ბააზოვისადმი.

(შემდეგი იხ. „სამშობლო“ № 116).

ვინ არიან მომავალნი და ვის ეკუთნის მომავალი?

ჩვენი მომავალნი მოზარდი თაობაა. ჩვენი იმედი, ჩვენი ეროვნების ბურჯი, მოზარდი თაობაა. როგორც მომავალთ, მომავალიც მათ ეკუთნის. მაგრამ რა მერე? განა ეს კმარა, რომ მომავალი მომავალს ეკუთნოდეს? განა ჩვენ წარსულთან, ჩვენც მომავალი და ჩვენი დროც მომავალი არ იყო? ეს ასე იყო და ასე იქნება.

საქმე ისაა, რამდენათაც ბედნიერნი ჩვენ ვართ, კულტურისა და განათლების მხრით, იმდენათ ბედნიერი იქნება ჩვენი მომავალიც ამ მხრით, თუ დროზე არ ვიზრუნეთ მისი მომავალი კეთილდღეობისათვის.

ჩვენ რომ წარსულივით უარ ყოფით შევხედოთ მომავლის, საქმესაც, ეს არც გვეპატიება და არც უნდა დავტოვოთ საპატიებლით, თორემ, ეს იმდენათ საპასუხისმგებლო საქმეა, მომავალმა, რომ კიდევაც მოინდომოს მისი პატიება, თავისთავათ წაუშლელი დარჩება ეს სირცხვილი ჩვენს სახეზე, და ვერც მომავალი შესძლებს მის განწმენდას.

მოზარდი თაობის აღზრდით ჩვენ მოზარდ თაობასთან ერთად, აღვადგენთ ჩვენს ეროვნულ კულტურას, რომლის აღდგენაც მომავალში გამოიხატება ეროვნული ენისა და ლიტერატურის აღდგენით, რომელიც ასე დაცემული და მიწასთან გასწორებულია ქართველი ისრაელებისათვ-ს.

ქართველი ისრაელების რაბინებმა რომ იცოდენ, თუ რამდენათ საპასუხისმგებლო საქმე ევალებათ და რამდენათაა ეს მათ-ან უყურადღებოთ დატოვებული, სირცხვილის ცეცხლით დაიწოდენ. მაგრამ სირცხვილი მათთვის ხომ უცხო ხილია!

ამ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრას ისინი ვერ შესძლებენ და არც ვარგა მათი გაკეთებული. მაგრამ ზოგიერთი სხვილსხვილნი თუ არაფერს არ აკეთებენ, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, [illegible] არ ესმოდესთ ამ დიდი საქმის [illegible] შვნელობა და [illegible] დეთ ამისი. თუმცა ერთიც არის და მეორეც, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ და მათდა სახეიროთ, ამ საკითხს გვერდს უხვევენ, რადგანაც, მათი აზრით, ებრაელი ხალხისათვის ცოდნა-კულტურის შეთვისება, ვითომდა მათ ეროვნებასა და სარწმუნოებას საფრთხეს უმზადებდეს. მეტ აზრსა და გონიერებას არც უნდა მოველოდეთ ასეთ სარწმუნოებრივ ფანატიზმით გატაცებულებებიდან. სჩანს, მათი აზრით, თუ ადამიანმა ცოდნა მიიღო, სარწმუნოებას გამოიცვლის. მაგრამ, თუ თვითონ კარგი ნასწავლები არიან და რჯული არ დაუტოვებიათ, რით ასაბუთებენ, ვითომ მომავალში სწავლულმა და გაგებულმა ადამიანმა თვ[illegible]ერი და სამშობლო დასტოვოს? აშკარაა თვითონ უსწავლელები არიან, რომ სჯული არ დაუტოვებიათ.

რომ თავი არ მოგბეზრო, ვიტყვი: თუ ადამიანს საკმაო ძალა არ შესწევს, სურვილის განხორციელებაც არ შეუძლია. **ჯერ ძალა, მერე სურვილი.** ვისაც ძალა არ უსწრებს სურვილს იგი თავის სურვილსა და საწადელს ვერ მიაღწევს. ერთი სიტყვით ჯერ ძალა უნდა შეგწევდეს საკმაოდ—მერე სურვილი უნდა გებადებოდეს. მაშინ ადვილათ შეიძლება სურვილის და დასახულ მიზნის მიღწევაც, რადგანაც სურვილის ასრულებაც, ძალას მოითხოვს.

მაშასადამე, ჯერ სწავლა და განათლება, კულტურულათ ამაღლება, მერე კი ყოველი საწადელის მიღწევაც ადვილია.

თუ ადამიანი უცოდინარია, თუ მას უბრალო კითხვაც კი არ შეუძლია, თუ ის რაბინების და ვინმე, მისი წრის გამოჩენილი პირის ხელის შემყურეა, მას არ შეუძლია და ვერც შეიძლებს გაიგოს, ყველა იმ ძვირფასი მოწოდების მნიშვნელობა და შინაარსი, რომელიც თქვენ მიერ იყო აღძრული და რომლითაც თქვენ მოუწოდებდით ქართველ ებრაელებს, თუ გინდ მელნით კი არა, ცეცხლის მელნითაც იყოს დაწერილი.

დ. პალესტინელი.

(დასასრული ხვალ)

წინასწარმეტყველი.

(ბიბლიური ლეგენდა).

დიდ მოსე წინასწარმეტყველს გარს ეხვია ბრბო ხალხისა, რომელიც დრტვინავდა და სტიროდა.

მოსე კი დაჰყურებდა განრისხებითა და სასოწარკვეთილებით.

გულში საშინელი ცეცხლი უტრიალებდა, საშინელ ტანჯვას განიცდიდა.

სასოწარკვეთილებას ეძლეოდა.

თუმცა ეს დრტვინვა - ტირილი ბრბოისა პირველი არ იყო წინასწარმეტყველისათვის, — მას ბევრჯერ გამოეცადნა მათი ამნაირი ქცევა-უმადურობა, მაგრამ ის ხანდისხან სხვა რამ მიზეზით იყო გამოწვეული და ამიტომ ვერ მოქმედობდა ხოლმე მასზე ისე მძლავრად, რადგანაც მალე უკმაყოფილებდა მოთხოვნილებებს, მაგრამ ახლა კი სულ სხვა იყო.

ახლა მათ მიეწვევდა აღთქმის ქვეყნისკენ, თავისუფლებისაკენ, და ისინი კი უარსა ჰყოფდენ.

მათში მთელი სიმძლავრით გამოელვიძნა ძველ მონას, მონურ სულს:

„მივცეთ პირი პირს და დავბრუნდეთ ეგვიპტეში“—გაიძახოდა მონა-ბრბო. ეს კი აუტანელი იყო.

რამდენი არ ეცადა, რომ ამ მონებში აღმოეფხვრა მონური სული, გარდაექმნა ერად, თავისუფალ თვისთავის მცნობელად. ამისთვის წინასწარმეტყველი ხმარობდა ყველა საშუალებას ბუნებრივსა და არა ბუნებრივს, მაგრამ ეს საშუალებები მოქმედობდა მათზე მხოლოდ ერთს წუთს' მერე კი, ცოტა ხანის შემდეგ, ისევ ის მონა და ისევ ის მონური სული.

ვერ გასჭრა ვერავითარმა საშუალებამ, ვერ გასჭრა სასწაულებმა, ვერ გასჭრა თვით ღმერთის ძარს ჩამოყვანამ, მისმა მცნებებმა, მონა ვერ ეთვისებოდა ამ ღვთიურ მცნებებს.

დადგა აგერ უკანასკნელი ჟამიც, წინასწარმეტყველმა გადასწყვიტა ეცადნა უკანასკნელი საშუალებაც. წაეხა აღთქმის ქვეყანაში, იქნებ მიწა-წყალს ემოქმედნა მათზე, იქნებ იქ მაინც გარდაქმნილიყვენ ერად, იმ იდეალურ ერად, რომელზეც დიდი წინასწარმეტყველი ოცნებობდა.

გაგზავნა ჯაშუშნი ქვეყნის განსახილველად.

მოიტანეს პასუხი.

მაგრამ საშინელი პასუხი იყო მათი პასუხი წინასწარმეტყველისათვის:

„ქვეყანა მოგვწონს, მაგრამ ქვეყნის მცხოვრებლებთან ბრძოლა კი არ შეგვიძლიან, გვეშინიანო“.

ამ პასუხმა საშინლად დაკოდა წინასწარმეტყველის გული.

მან ერთხელ იდევ, უკანასკნელად სცადა გა[illegible]ეთქმევინებინა მათთვის სიტყვა. გაებედინებინა, მაგრამ ბრბო გაიძახოდა „გვეშინიან“ და უპირობდა ჩაქოლვას.

მაშინ კი აევსო წინასწარმეტყველს მოთმინების ფიალა, საშინელმა აზრმა გაუელვა თავში, მაგრამ კი აუცილებელმა:

ის მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მონის ერად გარდაქმნა, ამაზე ცდა სულ ამაო იყო, უსარგებლო, ბუნების წინააღმდეგი.

მონა ყველა ცდის წინააღმდეგ, რომ თავისუფალ ადამიანათ გარდაქმნილიყო, მაინც მონად რჩებოდა.

და საშინელის მსჯავრის გამოტანაც აუცილებელი იყო:

„ამ უდაბნოში დაიხოცებით, და აქ დაცვივიან ძვალი თქვენი, ვერც ერთი თქვენგანი ვერ ეღირსება იმ ქვეყნის ნახვას, რომელიც აღუთქვა უფალმა თქვენ მამა პაპათ“.

მეხსიერთ იგრძალა ამ ოქმა ბრბოს თავზე წინასწარმეტყველის პირიდამ ღმერთის სახელით.

ამ მსჯავრმა საშინლად იმოქმედა მონა-ბრბოზე და ჩვეულებრივად წუთიერად აიტანა შიშმა წინასწარმეტყველის სიტყვების გაგონებაზე.

„მზად ვართ! წავალთ! ვიბრძოლებთ!“—გაიძახოდა ბრბო შეშინებული მოკრძალებით.

მაგრამ ამაოდ! წინასწარმეტყველი არც ისე რბილია, რომ სიტყვა გარდასთქვას, მით უფრო ის სიტყვა, რომლის დასკვნაც უზომო სულიერი ბრძოლის შედეგი იყო.

და წინასწარმეტყველი შეუდგა საქმეს. მარხავდა მონათა თაობას, უდაბნოს აბარებდა მათ გვამებს.

მაგრამ ამასთან შეუდგა მეორე საქმესაც, ახალ თაობის აღზრდას, რომელთაც მონობის სული არ მისდენოდათ, თავისუფლების ტრფიალში იზრდებოდენ, წინასწარმეტყველის მუხლებზე.

და მოსეც გულმოდგინით ასრულებდა თავის მოვალეობას, დაუღალავად ორმოცი წელიწადი, სანამ მიაბარებდა უდაბნოს უკანასკნელი მონის გვამს, და ახალ თაობაშიც ოტათ თუ ბევრათ დაინახავდა თავის იდეალი განხორციელებას.

და მხოლოდ მაშინ კვდება გულ დამშვიდებით, და მის საფლავს ვერავინ იგებს.

ნატან. ელიაშვილი.

ერთი დღე სოფლად.

(განცდა)

გინახავთ როდისმე მშვენიერი სიზმარი? სიზმარი არაჩვეულებრივი, სიზმარი უმანკო და თან მრავალმნიშვნელოვანი, ისეთი სიზმარი, რომელიც მარად გახსოვთ, მარად თვალწინ გიდგიათ, მაგრამ ვერც დასაბამი გაგიგიათ მისი და ვერც დასასრული.

გსურთ, კვლავ ნახოთ ეს სიზმარი, ნახოთ ცხადლივ, რომ თითოეული მისი წვრილმანი საუკუნოთ დაგანახსოვრდეთ და ის სიამოენება, რომელიც თქვენ გამოსცადეთ, სამარის კარამდე შეგრჩეთ და მუდამ მის ტრფობაში იყოთ, რამაც თავი მოგაწონათ, შეკაყვარათ და რაც ასეთი მშვენიერი და ლამაზი გეჩვენებოდათ..

სწორედ ასეთ სიზმარს მაგონებს ჩემი ერთი დღეთ ყოფნა სოფელ შროშაში, ძირულის მახლობლათ.

ერთ უმაწვილ კაცს, ჯერეთ ისევ მოსწავლეს, მაგრამ მოსწავლეს შეგნებულს, შესმენილს და მშრომელი ხალხის სიყვარულით გატაცებულს, გამოუწყვია შროშაში სახალხო სამკითხველოს დაარსების საქმე და 21 ივნისს დაგვპატიჟა ამ სამკითხველოს კურთხევაზე დასასწრებლად.

მე, როგორც ქართელი, ნაკლებათ ვიცნობ იმერეთის სოფლებს და დიდის სიამოვნებით გავწიე შროშისაკენ. მინდოდა მენახა იქაური ბუნება, ხალხ[illegible]; დავრწმუნებულვიყავ: რამდენათ არის შესული სოფლად შეგნება და მნიშვნელობა იმ წმიდა საქმისა, რომელსაც სასოფლო სკოლა, სამკითხველო და სხვა ამისთანები ჰქვია.

დილის 8 საათი იქნებოდა როდესაც მატარებელი დაიძრა ქუთაისის სადგურიდან და ჯერ ნელა და მერე აჩქარებით გასწია საღორიის ტყისკენ.

წინა ღამით წვიმა იყო და პირდაბანილი მუხები მორცხვი პატარძლებივით გამოიყურებოდენ. ზოგი მათგანი მოგაგონებდათ შეყვარებულ გრგვ ვაშაკაცს, დილა ადრიანათ რომ გამოსულა აივანზე და დილინჯ-შემოდგული გაჰყურებს მოპირდაპირე აივანს, სადაც მას ეგულება მშვენიერი, დილისთეთრ ტანისამოსში გამოწყობილი ტოლი გულისა. მაგრამ სატრფო იგი არა სჩანს. ალბათ ოცნებაში გარეულს თუ ჩასძინებია.

ვაშკაცი იგი ტოკავს, ირხევა, თმებსა და წვერულვაშს ილამაზებს, ოხვრავს, რომ იქნება ამ ოხვრამ მიაღწიოს კეკლუცის ყურამდე და გამოაღვიძოს იგი...

და გარბის დრო... ტკბილ-მწარე სევდით გარემოცული სდგას ჭაბუკი იგი და კვლავ ელის, ელის რაღაც გამოუთქმელ სიამოვნებას.

სწორედ ასეთ ჭაბუკებს მაგონებდენ გზა-ბ გზა ჩამწკრივებული მუხის ხეები და მეც საოცნებოთ მიწვევდენ...

მწარეა და მოშხამული ყოველ ღღიური ცხოვრება ქართველი ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე შენიშვნა.

(წ. შ. წ. კ ს. კრების გამო)

გუშინ, 29 ივნისს, დასრულდა კრებები ქ. შ. წ. კ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისა, რომელზედაც ბევრი საყურადღებო საკითხი გაირჩა: პირველ ყოვლისა არ შეგვიძლიან არ მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ ძველ გამგეობას სამი წლის ანგარიშები და საქმის წარმოება მეტად აწეწილად ჰქონია; ამ გარემოებამ კრების წევრებზე ცუდი შთაბეჭდილება მოიხდინა, თუმცა ანგარიში—განხილვისა და შესწორების შემდეგ, დამტკიცებულ იქნა.

იმედი გვაქვს, რომ ახალი გამგეობა გამოასწორებს ძველი გამგეობის საქმის წარმოებას და მომავალში აღარ დაუშვებს ისეთ შეცდომებს, როგორიც ძველ გამგეობას მოუვიდა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, კრებაზე ბევრი საყურადღებო საკითხი გადაწყდა და, სხვათა შორის, აღიძრა საკითხიც საწევრო ფულის დაკლების შესახებ; კრებამ ხმის უმრავლესობით დაადგინა, ეთხოვოს მთავარ გამგეობას, იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, საწევრო ფულის სამი მანეთიდან ერთ მანეთზე დასაყენებლად.

ქუთაისის საზოგადოებას იმედი აქვს, რომ მთავარი გამგეობა უყურადღებოდ არ დასტოვებს ამ საკითხის სასურველად გადაწყვეტის საქმეს და მით საშუალებას მისცემს ხელმოკლე ხალხს, ჩაეწეროს წევრად ისეთ ღირსშესანიშნავ საზოგადოებაში, როგორიც არის წერაკითხვის საზოგადოება. X.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

✦ ორშაბათს, 29 ივნისს, ქუთაისში დასრულდა ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ ქუთაისის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება. კრებამ აირჩია ახალი გამგეობა.

✦ ქუთაისის გუბერნიის მეღვინეობისა და მევენახეობის უფროსი სპეციალისტი ბ. კ. ბერეკაშვილი ამ დღეებში ხელ მეორეთ გაემგზავრება ართვინის ოლქში იქაური ვენახებისა და ბაღების დასათვალიერებლათ.

წყალდიდობა წყალდიდობით დაზარალებულთა საკითხი თანდათან ირკვევა. მდ. რიონზე, რიონის სადგურის ქვევით ჭალები ერთიანათ წალეკა. ყანებში მხოლოდ რიყის ქვები დასტოვა და ამ რიგათ მიწა სამუდამოთ წაუხდინა. ჭალადიდსა და ფოთში წყალი ჯერაც არ დამშრალა. ფოთისაკენ ახალი სენაკიდან მატარებელი არ გადის, ამის გამო დაწვრილებითი ცნობების მიღება სჭირს. ოდიშს, ისევეა დაზარალებულ კუთხეს დიდი უბედურება მოელის მდ. ხობი, წენის წყალი, ტენური, აბაშა, ხობი და ცხენის წყალი ნაპირებიდან გადმოსულა და მთელი ჭალები წაუღეკნია. დანგრეულია ბევრი სახლი. გლეხობა გულხელ დაკრეფილი დარჩა. საჭიროა სწრაფი-დახმარება.

✦ ხვალ, 2 ივლისს ქალ. თეატრში რუსული სცენის მოყვარეების მიერ წარმოდგენილი იქნები რუსულ ენაზე „დიონისეს რისხვა“ კომ. 7 სურათად.

✦ გუშინ 30 ივნისს საადგილმამულო ბანკის დარბაზში მოხდა ქუთ. გუბერნიის ბათუმის და სოხუმის ოლქების მოკლე ვადიანი მამულების საჯარო ვაჭრობა.

✦ როგორც დ. ყვირილიდან გვწერენ ახალი ხიდის გაკეთებას ამ დღეებში დაასრულებენ. მიმოსვლა მალე დაიწყება.

✦ ქუთ. გუბერნატორმა ბ-მა პოტულოვმა ქუთაისის, ფოთის და ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობებს ბრძანება დაუგზავნა, რომ შეატყობინონ მას ყოველ თვე ხსენებულ ქალაქებში, თუ რამდენი შეშა, ნავთი და შავი-ქვა არის.

28 ივნისს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის კრება. კრებაზე წაკითხულ იქნა სახალხო განათლების დეპარტამენტის დადგენილება იმის შესახებ, რომ ამ ომიანობის დროს სახალხო სკოლების ასაგებათ ფულს ხაზინა არ გაიღებსო. შემდეგ მოხსენება წაიკითხეს კომისიის წევრებმა ქალ. პირ. დაწ. სკოლების რევიზიის შესახებ. დასასრულ კრებამ დაადგინა: 1) ეთხოვოს ქალაქის საჭოს მიეცეს სტ. ვალ. ჯაფარიძეს აკაკი წერეთლის სახელობის სტიპენდია, რათა მას საშუალება მიეცეს ცოდნა მიიღოს პეტროგრადში აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე; 2) ეთხოვოს ქალაქის გამგეობას გაგზავნოს პირ. დაწ. სკოლებში ტეხნიკი შესამოწმებლათ, თუ რომელ სასწავლებელს რა შეკეთება სჭირდება: 3) ეთხოვოს პირ. დაწყ. სასწავლებლის გამგეებს შეადგინონ ყველა 4 განყოფილებისათვის სასწავლო პროგრამა და წარუდგინონ სასკოლო კომისიას პირველ სექტემბრამდის.

✦ ქუთაისის ბაზარზე ნედლი სიმინდი (ტარო) უკვე შემოვიდა.

✦ 29 ივნისს, საღამოს 7 საათზე, მესხეთის ქუჩაზე ჩხუბი მოუვიდათ ერთ პოლიციელს და შალვა ივან. ოლაბერიძეს. ორივემ ერთმანეთი დასჭრეს.

რიონის მსხვერპლი.

კიდევ მსხვერპლი!.. მსხვერპლი მოულოდნელი, მსხვერპლი თავზარდამცემი, მსხვერპლი აუნაზღაურებელი:

რიონის აბობოქრებულმა ტალღებმა შთანთქა განუსაზღვრელი სიმდიდრე დასავლეთ საქართველოისა!

იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო, სამურზაყანო და ნაწილი გურიისა—მსხვერპლი შეიქნა შეუბრალებლის სტიქიონისა. უმწეოთ დარჩა გლეხი, თავადი—დიდი და პატარა...

რაც ომს გადურჩა,—შიმშილობამ შეასრულა; წყალდიდობამ კი ორივეს გაასწრო...

ფოთი, ჭალადიდი და ახლო მდებარე სოფლები დღესაც წყალ-ქვეშაა. მოხუცები და ბავშები წყალში თევზივით სცურავდენ, ფლუკები 100 ვერსის მანძილზე ამოვიდა მათ საშველათ.

ფოთისაკენ მატარებლის მიმოსვლა შეწყვეტილია. ზარალის შესახებ ცნობები არ მოგვდის.

უნდა ვიფიქროთ, რომ წყალდიდობით დაზარალებულნი—შიმშილით იხოცებიან, რადგანაც გზა შეკრულია და სანოვაგე არვინ აწვდის...

ჩვენი და ადმინისტრაციის მოვალეობაა დაათვალიერონ ეს მხარეები, გამოარკვიოს მათი უმწეო მდგომარეობა და რაც შეიძლება საჩქაროთ შემწეობა აღმოუჩინოთ, თუ სანოვაგით, თუ სხვა ნივთიერი დახმარებით.

ახლავეს უნდა იქნეს აღძრული შუამდგომლობა უმაღლესი მთავრობის წინაშე, რომ გამოგზავნილი იქნეს განსაკუთრებული კომისია ზარალის შესამოწმებლათ და დახმარების აღმოსაჩენათ.

საქმე დაყოვნებას აღარ მოითხოვს, თორემ წყალდიდობით დაზარალებულნი შიმშილით დაიხოცებიან...

ჩვენ კი, ყველა ქართველები უნდა შევერთდეთ, გავიღოთ ჩვენი უკანასკნელი წვლილი და ჩვენი ძმები უბედურებისაგან დავიხსნათ.

ნიკ—რი.

ქართველ ქალთა საშუალო სასწავლებელი.

როგორც ვიცით, მომავალი სასწავლო წლიდან თბილისში იხსნება ქართული საქალო საშუალო სასწავლებელი, რის შესახებაც ჩვენს გაზეთებში დიდი კამათია გამართული. ვინ მოსთვლის, ზოგი რას იცავს და ზოგი რას. ყველას თავისებურად მოსწონს ეს სასწავლებელი და ყველა ცდილობს მისს ჯეროვან ნიადაგზე დაყენებას; მაგრამ ხშირად გვერდს უვლიან უმთავრესს საქიროებას და უნებურად უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან. თუ საუსურველად იწარმოებს სწავლა მისს კედლებში, რასაკვირველია, საშუალო სასწავლებელს დიდი ნაყოფის გამოღება შეუძლია, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ იმისთანა ტიპის უნდა იქნეს ეს სასწავლებელი, რომელიც იქ აღზრდილს ქალებს საშვალებას მისცემს—თავისი ცოდნა ფართო მასაში გადაიტანონ. მარტო ოცი-ოცდა-ათი ქართველი ქალის შექმნა ჩვენს ქვეყანას ვერ იხსნის გაჭირვებისაგან, საჭიროა საერთო, მდაბიო ხალხის სწავლა-განათლების მოწესრიგება. რომელიმე მდიდრის ქალმა რომ წესიერი აღზრდა მიიღოს (რასაკვირველია, ესეც კარგია), ამათ ქართველ გლეხობას ოდნავადაც არ შეუმსუბუქდება ის ტანჯვა-წვალება, რასაც უსწავლელობით განიცდის. რომელიმე ქართველმა ვაჭარმა, ან მექარხნემ რომ თავისი ქალი ქართულად აღზარდოს, ამით ჩვენი მუშა ოდნავადაც ვერაფერს მოიგებს. რომ ხალხს, თუ ხალხი გლეხები და მუშებია, სარგებლობა მოუტანოს რომელიმე სასწავლებელმა, ამისთვის საჭირო არ არის ახალ ახალი გიმნაზიების შექმნა; ჩვენთვის—ღარიბთათვის—სულ ერთია—რა ენაზედაც შეისწავლიან ვარსკვლავთ-მრიცხველობას და საერთაშორისო უფლებას; ჩვენთვის—დევნილთათვის—სულერთია ქართულად იაზროვნებს, თუ არაბულად ჩასუქებულთა კლასი;

. . . . .

. . . . .

. . . . ვერც ერთს სოფელში ვერ ნახავთ უმაღლესს სასწავლებელში კურს დამთავრებულს, მოღვაწეს. ყველანი ქალაქად ეძებენ თბილს ადგილს და, თუ ვინმე სოფლად არის, ის ხომ ცნობილი ვერმიშელია და ხალხსაც ვერაფერს უკეთებს. რა თქმა უნდა, ძალიან კარგია საშუალო სასწავლებლებში სწავლის საქმის მოწესრიგება, მაგრამ პოეტისა არ იყვეს: „ყოველი შრომა დაკარგულია, თუ საძირკველი დანგრეულია“. და, თუ ეროვნული სიდიადის საძირკველი გლეხები და მუშებია, ამ უკანასკნელთა წესიერ აღზრდას მეტი ყურადღება უნდა ექნეს მიქცეული, ვიდრე რომელიმე ლორდის ქალების, ან ვაჟების სწავლა-განვითარებას. ვისაც შვილის პირდაპირ გიმნაზიაში წაყვანა შეუძლია, ის უმეტეს შემთხვევაში ქოლნიანი გახლავთ, და უნდა გამოვტყდეთ, ჩვენთვის სულ ერთია მარკაზ—მილიონერები ქართულს ასწავლიან თავიანთ შვილებს, თუ ფრანგულს, რადგანაც ხალხში საამუშაოდ თავისს დღეში არ ივარგებს ნაზ—კანიანი, სათუთი მილედი, ან ბურჟუათა სუსტი ქალები.

ნიკ. ქამუშაძე.

(დასასრული ხვალ)

ქ. შ. წ. კითხვის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრთა კრება.

(14 ივნისის კრების გაგრძელება)

კვირას, 28 ივნისს, შავი ქვის საბჭოს სადგომში მოხდა ქუთაისის განყოფილების წევრთა საზოგადო კრების გაგრძელება. კრება გახსნა გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგმა ი. ოცხელმა დილის 11 ს. 20 წ. და წინადადება მისცა კრებას, ახალი თავმჯდომარე აერჩია, რადგანაც წინა კრებაზე არჩეული თავმჯდომარე ბ. ი. ჩიქოვანი თბილისშია წასული და კრებას ვერ დაესწრო; კრებამ ერთხმად აირჩია ბ. ი. ფანცხავა. კრების მდივანმა დ. უზნაძემ წაიკითხა 14 ივნისის კრების ოქმი, რომელიც კრებამ დაამტკიცა. შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით დროებითი სარევიზიო კომისიის წევრმა გ. ურატაძემ წაიკითხა კომისიის მოხსენება, ამასთანავე აღნიშნა, რომ სარევიზიო კომისიის ერთმა წევრმა ა. ჯანელიძემ მუშაობაზე უარი განაცხადა და რევიზია მხოლოდ მან და ბ. ჩხატარაიშვილმა მოახდინა. ამაზე ა. ჯანელიძემ უპასუხა კრებას, რომ მან კომისიის წევრობაზე უარი უთხრა წინანდელ კრებას, „მაგრამ ალბათ თავმჯდომარეს ვერ შეუნიშნავს და არ შეუტანიათ ოქმში. გ. ურატაძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა ყველა ის განსხვავება, რომელიც სარევიზიო კომისიისა და გამგეობის ანგარიშებს შორის გამოჩნდა და დაუმატა, რომ ეს აიხსნება არა რაიმე ბოროტ-მოქმედებით, არამედ დავთრების არა კანონიერი წარმოებით, ამიტომ საჭიროა, რომ გამგეობამ აუცილებლივ მოიწვიოს წიგნებ-დავთრების მოსაწესრიგებლად გამოცდილი ბუღალტერი.

ალ. კრინიცკი. სიტყვას თხოულობს და ნებართვის შემდეგ ლაპარაკობს, რომ წინა კრებას სამწუხაროთ ვერ დაესწრო და ამიტომ ბოდიშს იხდის, რადგან მან ვერ წარმოადგინა განმარტება თავისი მოქმედების შესახებ, როგორც წევრმა სარევიზიო კომისიისა; აღნიშნავს და თავს იმართლებს მით, რომ პირველი ორი წლის რევიზია მან რ. კანდელაკთან ერთად მოახდინა, შარშან კი, როდესაც სტამბის სარევიზიოთ მისულან, ანგარიშები სტამბაში მზათ არ ყოფილა და თუმცა წლევანდელი კრების წინ მიიღო ცნობა, რომ ანგარიშები დამზადებული იყო, მაგრამ მაშინ ისეთ საქმეებში იყო გართული, რომ რევიზიის შოხდენა არ შეეძლო, ამიტომ უთხოვნია და დაუვალებია ორი დანარჩენი წევრისათვის მოეხდინათ რევიზია, რაზედაც შემდეგ ხელს ის მოაწერდა. ბოლოს უმატებს: „ჩემი ცოდვა მარტო ის არის, რომ არ შევიტანე გამგეობაში წერილებითი განცხადება, ჩემი მოუცლელობის შესახებ“.

თავჯდომარე. მიმართავს კრებას და შეეკითხება, დაკმაყოფილდება კრება ასეთი განცხადებით თუ არა.

ს. რობაქიძე აცხადებს, რომ ბ. კრინიცკის ბოდიში უადგილოა; სხვა და სხვა კომისიაში თუ მუშაობს და ამისთვის დროს შოულობს, რა მიზეზია, რომ აქ არ იმუშავა; თუ ვერ მიიცლის სამუშაოთ, როდესაც ირჩევენ, ნუ თანხმდება და სხვას ავირჩევთ, ვისაც დრო ექნება. თუ ასეა, მეორე წევრს ბ. დათეშიძესაც შეუძლია გვითხრას, ბანკში საქმეები მქონდა და ვერ მივიცალეო; არა, ასეთი ბოდიშის მოხდა მაგათ ვერ გაამართლებს.

გ. ტუსკია ადასტურებს რობაქიძის განცხადებას.

ალ. კრინიცკი პროტესტს აცხადებს და უსამართლოდ [illegible] ძის განცხადებას.

ბ. გიგინეიშვილი [illegible] ლევს კრებას მოეხსნას საყვედური ბ. კრინიცკის.

ს. წერეთელი აცხადებს, რომ თუ ბ. კრინიცკის შესახებ ვმართავთ კამათს, მაშინ ბ. კრინიცკი კრებიდან გავიდეს, თორემ რამდენი ორატორი სიტყვას იტყვის, თუ ყოველთვის ბ. კრინიცკიმ უპასუხა, ამას მოვნდომებივართ დღეს.

ბ. მოსეშვილი. ბატონებო, რაც იყო, იყო; ეხლა ამას თავი დავანებოთ და შემდეგისათვის შეკდომას ნუ დავუშვებთ.

ლადო ბზვანელი.

(შემდეგი იქნება)

ჩემი აზრი ქართული გალობის შესახებ.

(წერილი მეორე).

როგორ უნდა შეკეთდეს და გაუმჯობესდეს ჩვენი გალობა? ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც მოიქცნენ უფრო დაწინაურებული ერები. უძველეს დროში, ქრისტიანების პირველ საუკუნეებში, არსებობდა მხოლოდ „უნისონური“ ანუ ცალფა ხმოვანი გალობა, ისე, როგორც, მაგალითად, დღეს სომხებსა აქვთ. ბერძენთა ფილოსოფოსებს ჰქონდათ შემუშავებული მუსიკის თეორია, მაგრამ ეს თეორია დამყარებული იყო მხოლოდ ტონების მათემატიკურ ანგარიშზე და ამიტომ პრაქტიკაში განუხორციელებელი რჩებოდა. ბერძნები სცნობდნენ რამდენიმე ინტერვალსა, მაგრამ ეს ინტერვალები ისეთი უხერხული და არა სასიამოვნო იყვნენ სმენისათვის, რომ არასოდეს პრაქტიკაში არ იხმარებოდნენ. ამიტომ, მკვლევართა აზრით, ბერძნებსაც მხოლოდ ცალფა ხმოვანი გალობა ჰქონდათ. მათი გალობა უფრო ერთგვარ დეკლამაციას წარმოადგენდა და არა გალობას იმ სახით, როგორც ჩვენ ეს გვესმის. **ჰარმონიული** ანუ რამოდენიმე ხმად შეწყობილი გალობა, მუსიკის კანობებზე დამყარებული, პირველად დასავლეთში, გაჩნდა საშუალო საუკუნეებში. ასეთი გალობა შემოიღეს კათოლიკეებმა თავის ეკლესიაში და დროთა მსვლელობაში თანდათან შეამუშავეს და განავითარეს იგი უმაღლეს წერტილამდის. კათოლიკების ჰარმონიული გალობა პირდაპირ ატყვევებდა სმენასა და ამიტომ შემდეგში იგი შეიქნა კათოლიკების ხელში პროპაგანდის საუკეთესო იარაღად. ამ გალობის წყალობით იგინი მრავალ ხალხს იბირებდნენ თავის მხარეზე. მათი გავლენა განსაკუთრებით დიდი იყო რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე. ამ გარემოებამ ძალა დაატანა რუსეთის ეკლესიას, რომ იმასაც ეზრუნა თავისი საკლესიო გალობის გაუმჯობესებაზე და შემოეღო ჰარმონიული გალობა, რათა თანასწორი იარაღით შებრძოლებოდა კათოლიკურ გავლენას. და, აი ჩვენ ვხედავთ რომ მე XVI—XVII საუკუნეებში პირველად კიევის მხარეში ჩნდება სლავიანური ჰარმონიული გალობა. მანამდის კი აქაც, ისე როგორც სხვაგან, იყო მხოლოდ ცალფა გალობა, რომელიც, რასაკვირველია, ვერავითარ კონკურციას ვერ უწევდა გამშვენიერებულსა და დიდებულ კათოლიკურ გალობას. ადგილობრივმა ეპისკოპოსებმა და მართლმადიდებელ- სარწმუნოებრივმა „ძმობამ“ დიდი მფარველობა გაუწიეს ახალს ჰარმონიულ სლავიანურ გალობასა და ყოველ ღონეს ხმაროდნენ მისი გავრცელებისათვის. ასეთ **ახალ შემოღებას**, როგორც ყოველთვის, ამისთანა შემთხვევაში, აქაც ბევრი მოწინააღმდეგე გაუჩნდა, მაგრამ ცხოვრებამ თავისი გაიტანა და ეს **ახალი გალობა** კიევის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრითგან მთელს რუსეთს მოედო და დამკვიდრდა. შემდეგ განვითარდა თან-და-თან და მიაღწია იმ წერტილამდის, როგორც დღეს ვხედავთ.

დღეს რუსეთის საეკლესიო გალობა არა თუ არაფრით ჩამოუვარდება კათოლიკურს, არამედ ზოგში კიდეც სჯობნის.

მერე როგორ შეამუშავეს რუსებმა სლავიანური გალობა? მათ პირდაპირ კი არ აუღიათ მზა ევროპიული მუსიკა და მოუწერიათ სლავიანური ტექსტი, როგორც ამას ზოგიერთი ჰქადაგებს დღეს ჩვენში. მათ აიღეს ძველი ბერძნულ-სლავიანური კილოები, გაასალაშინეს იგინი და უყვეს ჰარმონიზაცია, ე. ი. ძველ კილოს შეეწყვეს რამოდენიმე ხმა და ამგვარად შეჰქმნეს ჰარმონიული გალობა, რომელიც კათოლიკურისაგან განსხვავდებოდა თავისი შინაარსით, მაგრამ ჰარმონია კი იმაზე ნაკლები არ ჰქონდა. სთხზავდნენ ახალ მელოდიებსაც, მაგრამ იქაც ცდილობდნენ დაეცვათ იგივე სული და ელფერი. რადგან ოთხმოვანი გალობა უფრო სრული და მდიდარია ჰარმონიით, ამიტომ სწორედ ასეთი დამკვიდრდა მეტწილად რუსეთის ეკლესიაში. შესანიშნავია ძველი კილოების ჰარმონიზაცია მღ. ტურჩანინოვისა, ლვოვისა, ბორტნიანსკისა და სხვათა. განსაკუთრებით შესანიშნავია ბორტნიანსკი, როგორც მთხზველი ახალი მელოდიებისა. მისი მუსიკა ადვილია, თითქის უბრალო, მაგრამ მასთან დიდებული და ღრმად გულში ჩამწვდენი. მისი ჰანგები წმინდა ეკლესიურია. ბორტნიანსკი ძველი კილოებითაც სარგებლობდა, მაგრამ სარგებლობდა თავისუფლად და სრულიად ახალ სულს უდგამდა მათ. იგი იგივეა საეკლესიო მუსიკაში, რაც გლინკა საეროში და ვაჟა-ფშაველა ქართულ პოეზიაში. აღნიშნულ კომპოზიტორებს მიჰყვნენ სხვები და აი დღესაც აუარელი საეკლესიო საგალობები იქმნება რუსეთში და ვრცელდება. აქედან ბევრსა სესხულობენ დღეს სხვა მართლმადიდებელი ერები. შესანიშნავად გაადვილებულია და გამშვენებული სადა კილო, „სასახლის კილოდ“ წოდებული და ამიტომაც ისე ადვილად ვრცელდება იგი.

კ. მალრაძე.

(დასასრული ხვალ)

დაბა-სოფელი.

დ. ხარაგოული (მორაპ. მაზრა). **დრამ. საზ-გ დაარსება.** კვირას, 21 ივნისს, ადგილობრივ სამკითხველოს დარბაზში, დრამატიულ საზოგადოების დაარსების მიზნით, ხარაგოულის საზოგადოებისაგან მოწვეული იყო კრება. კრება, თითქმის სავსებით, სამკითხველოს გამგეობის წევრთაგან შესდგებოდა. თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქმნა სტუდ. ვანო ტივეფხვაძე. თავმჯდომარემ მოკლეთ და მკაფიოთ განუმარტა დამსწრეთ მოწვეულ კრების დანიშნულება. ის შეეხო წარსულში ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დარის მოქმედებამოღვაწეობას, დაასურათა ის აუტანელი პირობები, რომელშიაც უხდებოდა ამ დასს ეს მოქმედება და პირნათლად აღიარა, რომ დღემდისაც წარმოდგენების მართვა-გამგეობა სასურველად ვერ მოეწყო. მაგრამ, ასე თუ ისე, სახლი მაინც ნაქირავებია, სცენა შეძენილ იქნა და ეხლა ჩვენი ვალია ამ სცენის გაძღოლა და მის მკვიდრ ნიადაგზე დაფუძნებაო- ამისათვის-კი საჭიროა აუცილებელია დრამ. საზოგ. დაარსება, რაიკა შეადგენს დღევანდელ კრების მიზანსო,—დასძინა თავმჯდომარემ. შემდეგ მდივანმა აცნობა საზოგადოებას, რომ ხარაგ. დრამ. საზოგადოების დაარსების თვის ჩვენ ვხელმძღვანელობდით ჭიათურის დრამ საზოგ. წესდებითო, რომელსაც თქვენი სურვილისამებრ გაგაცნობთო. სთხოვეს წესდების წაკითხვა, რაც შესრულებულ იქნა სტუდ. გრიგოლ ტაბატაძის მიერ. თავჯდომარემ აუხსნა საზოგადოებას, რომ, ვინაიდან ჭიათურასა და ხარაგოულს შორის ყოველ მხრივ დიდი განსხვავება სუფევს, ჩვენი წესდებაც ჩვენდა შესაფერისათ უნდა იქნეს შედგენილი, რასაც ეხლავ დავინახავთო. შეტანილ იქნა წინადადება მუხლობრივ განეხილათ ორივე წესდება. სტუდ. გრ. ტაბატაძემ დაიწყო კითხვა მის მიერვე შემუშავებულ წესდებისა; მდივანი კითხულობდა ჭიათურის დრამ. საზოგ. წესდებას და მუხლობრივ ადარებდენ ერთმანეთს. აქ ჩვენ წესდების მუხლების ჩამოთვლას არ შეუდგებით, არც იმის აღნუსხვას, თუ რა და რა ცვლილება არის შეტანილი ხარაგ. დრამ. საზოგადოების წესდებაში; ვიტყვით მხოლოდ, რომ აღნიშნული წესდება ფრიად დაკმაყოფილებულია, რაც კრებაზე ერთხმად აღიარეს. წესდებათა გაცნობის შემდეგ, რამაც კარგა ხანს გასტანა, შეუდგენ გამგეობის არჩევას; კენჭის ყრით აირჩიეს რვა წევრი გამგეობისა. საწევრო გადასახადათ დაწესეს წლიურათ თითო მანეთი. დაადგინეს, რომ საპატიო წევრებათ აირჩიონ ისეთნი, რომელნიც ერთდროულათ შეიტანენ არა ნაკლებ 10 მ., ხოლო წლიურათ იხდიან ისე, როგორც ჩვეულებრივი წევრები. ამის შემდეგ აღძრულ იქნა კითხვა თვით თავმჯდომარის მიერ: ახლათ დაარსებული დრამ. საზ. მიიღებს თუ არა მონაწილეობას იმ ვალის გადახდაში, რომელიც აწევს სცენის მოყვარეთა ჯგუფს, მის მიერ ნაქირავებ სახლის ქირის სახით (ვალი უდრის 50 მ.). ეს კითხვა უარყოფით იქნა გადაჭრილი. აღძრეს კითხვა, აგრეთვე, თეატრისთვის ახალი, უფრო შესაფერ შენობის ქირაობის შესახებ, მაგრამ ეს კითხვა გადაუჭელელი დარჩა. ამისა და მრავალ სხვა საკითხის გამოსარკვევად გადაწყდა კრების მეორეთ მოწვევა. კრებამ დიდხანს გასტანა (4 ს-დან 9 ს-მდე). ასე, ამგვარად ჩაეყარა საფუძველი ფრიად სასარგებლო და მასთან, აუცილებელ საქმეს, რომლის ღმთავრეს ინიციატორებათაც უნდა ჩაითვალონ: მასწ. ტერენტი ვეფხვაძე, სტუდ-ბი: ვანო დეკანოიძე და გრ. ტ ბატ ძე.

დარწმუნებული ვართ, როგორც აქამდის, ისე აწი იგინ ვე და ახლად არჩეულ გამგეობის წევრები მხნედ და გაბედულათ გაუძღვებიან ნაკისრს, ფრიად მძიმე და პასუხსაგებ მოვალეობას. დიაღ, 21 ივნისი, დრამ. საზოგ. დაარსების დღე დიდმნიშვნელოვანი დღეა ხარაგაულის სცენისთვის და თვით საზ ოგადოებისთვის.

ხშირი სტუმარი.

ფერილი გაკურიანიდან.

ბაკურიანი, თავისი მდებარეობით, აგარაკო ადგილია. მნახველს ყოველი მხრიდან მშვენიერი სურათი ეშლება თვალწინ: გარშემო შემორტყმული აქვს ნაძვის ტყე, ტყეს იქით მედიდურათ გამოჰყურებს მთები მთელ ბაკურიანს.

თვით ბაკურიანში 50 კომლზე მეტი მცხოვრებია. უმეტესი ნაწილი აქ ქართველებია. არიან რუსები და ოსებიც. აქაურ რუსებს თითქმის დავიწყებიათ თავისი ენა და ყველა ქართულათ ლაპარაკობს. აქ ვერ შეხვდებით ტყვილა მოხეტიალეს. ყველა თავის საქმეს ადგია, გულმოდგინეთ მუშაობენ დილიდან საღამომდი. აქ იშვიათად ნახავთ ისეთ გლეხს, რომელსაც რასმეში უჭირდეს. თუმცა აქ პური ნაკლებათ მოდის, მაგრამ სამაგიეროთ სხვა ჭირნახული ბლომად მოდის.

ყოველ მოსახლეს სხვა სახლიც აქვს, რომელსაც ზაფხულობით მოაგარაკენი ქირაობენ.

აქ არსებობს ერთი კლასიანი სამინისტრო სკოლა და უფასო სამკითხველო. ერთი სიტყვით, აქ ყველაფერი რიგზეა მოწყობილი.

რაც შეეხება გარეშე სოფლებს, სამწუხაროთ, მათზე კარგს ვერაფერს ვიტყვით. ამ სოფლებს თითქმის, ყველას შეენარჩუნებია ძველი ქართული სახელი. მაგალითად: „ციხის ჯვარი“, რომელიც ცხრა ვერსით არის დაშორებული ბაკურიანს. „ტბა“, „კოხტა გორა“, „წითელი საყდარი“ და სხვა... ამათში ქართველობა ძალიან ნაკლებათა, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, სულ არაა. მართალია, არის რამოდენიმე მოსახლე, მაგრამ ზნე-ჩვეულებით შემოხიზნულებს გვანან. უმეტესი ნაწილი ამ სოფლებისა, ბერძნებსა და სომხებს უჭირავთ. მათ კარგა ხანია დაუწყიათ გადმოსახლება და გამაგრებულან კიდეც. სოფელ „წითელ საყდარში“ თითქმის ყველა სომეხია. აქაურებმა გადმომცეს, რამოდენიმე წლის წინათ აქ ყოფილან ვიღაც „სანდაძნები“ და „ბერძნები“, მაგრამ დღეს მათ გრიგორიანობა მიუღიათ და სანდაძიანცებათ გამხდარან. რომ შევეკითხე იქაურ სომეხს, თქვენ საიდან მოსულხართ და ვინ მოგცათ აქ გადმოსახლების ნება მეთქი, მიპასუხეს: „კნიაზმა მოგვყიდა ეს მამულებიო. ახლა ჩვენს საკუთრებას შეადგენს და როგორც მოვეხმართ,—ჩვენი საქმეაო“.

„ტენორი“.

იძულებითი განმარტება.

(წერილი რედაქ. მიმართ.)

ბ. რედაქტორო! წაიკითხე თქვენი პატივცემული გაზეთის 108 №-ში მოთავსებული ბ.ბ. თურქიასა და გაგუას პასუხი. ძლიერ კარგად ვიცი, რომ დღეს საზოგადოების ეურადღება სულ სხვა მხრივაა მიქცეული, მაგრამ ზოგიერთი ვაჭრის უკადრის საქციელის აღნიშვნა, ვფიქრობ არ უნდა იყოს მოკლებული საზოგადოებრივ ინტერესს, რომ თანამედროვე შეგიწროებულ პირობებში საზღვარი დაედგას მეიდეველთადმი უმარცოებულო მოქცევას. ამ მოსაზრებით და სიმართლის აღსადგენად, გთხოვთ აღგილი მისცეთ თქვენს გაზეთში ამ ჩემს უკანასკნელი იძულებით განმარტებას.

ჩემი პირველი წერილის მიზანი იყო მეცნობებინა ქუთაისის საზოგადოებისა, თვის ის უდიერი მოქცევა, რომელსაც მეიდეველის შიმართ, საუბედურად, იჩენს ზოგიერთი ვაჭარი და გამოტეხით აღვიარებ, რომ ესეგის პირფერებენა არ მაინტერესებდა. თვის საპასუხო წერილში ბ ბ. თურქია და გაგუა სწერენ, თითქოს მათ ჩვენთვის ქოდგა გამოეცვალოსთ, რომ მე ფერი არ მომწონებოდეს და სხვა. არათერი ამის მსგავსი არ ეოფილა; ნამდვილად სქმე ასე იყო: ვიეიდე ხსენებულ ვაჭრებისაგან ქოდგა, რომლის შესახებაც გამოეიდეველნი მარწმუნებდნენ, რომ იგი ერთს წელს მაინც გასძლებდა. მეორე დღეს ქოდგის გამოცვლა მოეინდომე, რადგან იგი ძლიერ სუსტი აღმოჩნდა. მართალია, პატივცემული ვაჭრები თანახმა იყვნენ, ქოდგა გამოეცვალათ, მაგრამ სხვ. ქოდგა ისე ძვირად დამიფასეს, რომ ჩემი „ბიუჯეტისათვის“ მისი შეძენა პირადპირ მიუწდომელი იყო. მეც იძულებული ვიყავ ისევ ძველი ქოდგა წამომეღო. და, მაშასადამე, ბ ბ. თურქიასა და გაგუას სიტყვები: „წაიღო მეორე, რამდენიმე დღის შემდეგ მობრძანდა პატივცქალბატონი და გვითხრა ისევ ძველი ქოდგა დაგვებრუნებიაო“ მტკნარი სიტრუეა და რომ ეს ასეა, ამას ოფველთვის დაადასტურებენ ისინი, ვინც იმ დროს ჩემთან ერთად იყვნენ მაღაზიაში. შეძენილი ქოდგაორჯერ ხმარების შემდეგ გასკდა. მე სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ პატივცემული ვაჭრები, რომელნიც თვით მარწმუნებდნენ ქოდგის სიკარგეში, ცოტა ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებდნენ, ამიტომ სრულიად დამშვიდებული შევედი მათ მაღაზიაში. ხოლო, როდესაც მათ იკადრეს, წამხდარ ქოდგაში ათი მაურის შემოძლევა, მე ეს მეიდეველის პირფერების შეურაცხყოფად ჩავსთვალე და ვუპასუხე ის, რაც შევე აღნიშნული მქონდა პირველ წერილში.

ბ.ბ. თურქია და გაგუა სამედიატორო სასამართლოში მიწვევენ და პასუხისათვის სამი დღის ვადას მაძლევენ. მე კი ქალაქიდან საგარეოდ გასულმა მხოლოდ დღეს წავიკითხე მათი წერილი გადაწერით მოვახსენებ პატივცემულ ვაჭრებს, რომ მე თანახმა არა ვარ სამედიატორო სასამართლოში გავიარ ისეთ პირებს, რომელნიც ცხადლივ სიცრუეს კადრულობენ. ეს მით უმეტეს, რომ თვით არ უარეოფენ ფაქტს ქოდგის გაფუჭებისას, თუმცა ამბობენ, ქოდგა უფრო ძალით გახეულს გავდაო. და არ მგონია, რომ ვინმე ჭკუად მეოფელმა ძალით გახიოს თვისი საკუთარი ნივთი.

კონა წერეთელი.

P. S. ერთი მტირე შენიშვნა კიდევ ბ.ბ. თურქიას და გაგუას: ქოდგაც და ფულიც თქვენ დაგრჩით და მაშასადამე, მიუხედავად თქვენი მუქარისა, „შანტაჟისტად“ მე არ გამოვდგები. მაგრამ იქნება ცილის მწამებელი მიწოდოთ, ამ შემთხვევაში ცხადი იქნება, რომ ეგ სიტყვა თქვენებურად გესმისთ და იყავ ნებათქვენი!

კ. წ.

ს. ცხრუკვეთი.

25 ივნისი 1915 წ.

პასუხი ბ. მარი ოღლის.

ბ. მარი-ოღლი გაზ. „სამშიბლოს“ მე-ასე ნუმერში სწერს: „ღუალაძისეულ მოედანზე მებუტკეებისთვის ნება არ უნდა მიეცათ ვაჭრობისა, რადგანაც ყველა სანოვაგეს ისინი იგდებენ ხელში და მცხოვრებლები ვეღარაფერს შოულობენო“.

უნდა მოვახსენოთ ბ. მარი ოღლის, რომ მებუტკეების არ ებობა მცხოვრებთათვის აუცილებელ საჭიროებს, შეადგენს. ხშირია ისეთი მოვლენა, რომ სოფლებიდან სანოვაგე კვირაში სამჯერ მეტათ არ შემოდის და სხვა დროს სიიდნ შეიძენდენ მოედნის გარშემო მცხოვრებლები საჭირო საგანს: ყოველივე შემთხვევაში, თუ მართლა მებუტკეები ზედმეტი ბარგია მცხოვრებთათვის, ბ. მარი-ოღლის შეუძლია დასაბუთებული საბუთებით მიმართოს ქალაქის თვითმართველობას მათ მოსაშორებლათ.

რაც შეეხება იმ ბრალდებას, რომელსაც იგი ახვევს თავზე ადგილობრივ ბაზრის ზედამხედველს, კიდევ გავიმეორებ, რომ ჩემთვის სავალდებულო არ არის სწორეთ მაშინ ჩამოვიარო ბაზარი, როცა ბ. მარი-ოღლი იქა ბრძანდება, თორემ უამისოთ შენიშნულია, რომ ბაზრის წესრიგის დარღვევა [illegible] ორი ჩარ[illegible] ჯარიმა დაჭრილა სასარგებლოთ ადგილობრივ საპოლიციო გაზეთებში წარმიდგენია.

დასასრულ უნდა მოვახსენოთ, ბ. მარი ოღლი, რომ კაცი ყოველ დროს მეუდგომლათ უნდა მსჯელობდეს და რაიმე საპირადოს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ამა თუ იმ პირის დაფასებაში.

სიმსონ ჩიქოვანი.

შემომწირველთა სია.

ქართველთა შორის წერა-კითხ. საზოგ. ქუთაისის განყოფ. 10 მაისს გამართულ სეანსობა-ალგებრისათვის.

ემალია ნიკარაძისამ და მინადორა იოსელიანისამ მოაგროვა შეწირულება შემდეგი ათი პირისაგან:

ნინა ბუბუტეიშვილისაგან ბავშის ეარანგი ელენე იოსელიანის ქალისაგან ბავშის არშია, ეელაგია ასათიანისაგან მოქარგული საუელო, ანეტა კეკნაძის ქალისაგან პირსახოცის ნაქსოვი ჩამოსაკიდებელი, ეგეგნია კვერნაძისაგან პირსახოცი საშა მალდაკელიძისაგან საუელო, ნინო ბუდაძის ქალისაგან პირსახოცის არშია, ნათელა დოროქიფანიძის ქალისაგან პირსახოცის არშია, ტიტიკო კანიანისაგან ტერმომეტრი, კბილის ჩოთქი, კბილის სუფერი ფხვნილი, 3 ნაჭერი სპეზნი და თმის სპანი შამპუნი, ემალია ნიკარაძის მეუღლისაგან ბალიშის კალასფარებელი ფართუკი დიდი და არშიის პატარა ფართუკი, სარიტონ ფაჩუღიას ქალებმა მოაგროვეს შეწირულება შემდეგი 13 პირისაგან: ალექსანდრა ივანეს ასულმა მოპოვამ 3 მან., ბარბალე ალექსანდრეს ასულმა ტერენტიევასამ 1 მ., № 1 მ., ანნა ივანეს ასულმა მაჭავარიანისამ 65 კ., ფედოსი ერმილეს ასულმა ხუნდაძისამ ორი წიგნი და 1 მან., ზინაიდა ივანეს ასულმა კურიჩკინისამ ბალიშის ზოლი, ნინა ერმილეს ასულმა გიორგაძისამ 1 მ., ლიუბა სიმონის ასულმა რუხაძისამ 1 მ., სალომე ჭიჭიკოს ასულმა ბადუშელიშვილისამ 1 მან., ესენია ეგეგნის ასულმა იოსელიანისამ მოქარგული მაუდის ბალიში, ეკატერინე კოსტანტინეს ასულმა თოფურიძისამ 50 კაპ. თამარა ასათიანის ასულმა საუკარელიძისამ ბაბუელის წიგნი, გრიგოლ სოლომონის ძე ხითარეოვმა 1 მან., თვით ელენე ხარიტონის ასულმა ფაჩუღიას ქალმა კონგრესზედ მოქარგული ბალიშის პირი, ნესტორ კოსტანტინეს ძე საუკარელიძემ მოაგროვა თავის თანამოსამსახურეთა შორის 24 მან. და 10 კ.

რედ.-გამომც. ი. თ. ციანცაძე.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა

„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“ ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო **„კაზმულ სიტყვიერებითი ქრესტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. **თ. მ.**

ა ბ ა ნ ო.

ს. ზეკარში, ბაღდათიდან 22 ვერსის მანძილზე 16 ივნისიდან იწყებს წარმოებას გოგირდის თბილი წყლიანი აბანო, მშვენივრად მოწყობილი ვანებითა და ოთახებით. აბანო მდებარეობს დიდებულათ შემკობილს ბუნებით ადგილზე, მშვენიერის ტყის პირში დიდ გზაზე. 10 ივნისიდან ბაღდათიდან ივლის 3 ცხენიანი, რიზინის თვლებიანი ეტლი, ნაშუადღევის ორი საათიდან ყოველ დღეს. აბანოს ახლავს ახლო სოფელი და დუქანიც, სადაც იშოვება ყოველივე სანოვაგე. წყალი სამაგალითოდ მოქმედებს ავათმყოფებზე. უმეტესად ურმით მოყვანილი ავათმყოფი, რამოდენიმე ბანაობის შემდეგ, ბრუნდება უკან ჯანსაღი, ფეხით. აბანო კურნავს ნერვების სისუსტეს, რევმატიზმს, ვენერიულ ავათმყოფობას, ჰაჰების ტკივილს, ტანის ქავილს და სხვას.

აბანოს მოიჯარადრე ად. დვალაძე. თ.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.

სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. კოხრეიძისა—ქუთაისში